ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

დ. სტეფანწმინდა

განკარგულება:**g-103. 103230313**
თარიღი:**31/01/2023**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 260 დადგენილებისა და გის და დზ საკონსულტაციო ცენტრის „გეოგრაფიკი"-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად:

მუხლი 1. დამტკიცდეს „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის კონცეფცია - ალტერნატივა I წარმოდგენილი სახით(დანართები წარმოდგენილია მერიის მიერ ალბომების სახით) გარდა იმ ტერიტორიებისა, რომელიც შეეხება:

1. სოფ. აჩხოტთან ე.წ. „ყარაბაღის“ ტერიტორიაზე ლოჯისტიკური ჰაბის მოწყობას;

2. სოფ. ფანშეტის ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის გზის მშენებლობას;

3.გერგეტის უბანში ე.წ. „ფშანის“ტერიტორიაზე განაშენიანების აკრძალვას;

4. ძირითადი დოკუმენტის მომზადებამდე დამატებით შესწავლილ იქნეს საქონლის გადასარეკი ბილიკების საკითხი.

5. ძირითადი დოკუმენტის მომზადებამდე შესწავლილი იქნას გერგეტის უბანში, იმ მიწის ნაკვეთების საკითხი, რომლებსაც აქვთ ერთი საკადასტრო კოდი, ხოლო წარმოდგენილ კონცეფციაში ნახევარი მიწის ნაკვეთი წარმოადგენს საცხოვრებელ არეალს, ხოლო ნახევარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას.

6. ძირითადი დოკუმენტის მომზადებამდე შესწავლილი იქნას დაბა სტეფანწმინდაში ე.წ. „თარგმნის“ დასახლებაში ელიის გზის მიმდებარე ტერიტორიის საკითხი, რომელიც წარმოდგენილ კონცეფციაში არც საცხოვრებელი არეალია და არც სასტუმროების, რადგან დატანილია 110 კვტ. ელ. გადამცემი

ხაზები, თუმცა დღეის მდგომარეობით აღნიშნული ელ-გადამცემი ხაზები გაუქმებულია და ჩატარებულია დემონტაჟი.

7. ძირითადი დოკუმენტის მომზადებამდე შესწავლილ იქნას დაბა სტეფანწმინდაში, დავით აღმაშენებელის ქუჩაზე (ყუროს უბნის ბოლოს) არსებული ტერიტორია. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად არსებული მიწები არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, თუმცა აღნიშნულ ადგილას უკვე არსებობს განაშენიანება (საცხოვრებელი სახლები, კოტეჯის ტიპის საცოვრებელი სახლები და სხვა), რის გამოც შესწავლილ უნდა იქნეს საკითხი და შესაძლებლობების ფარგლებში მოხდეს შესაბამისი სტატუსის მინიჭება.

მუხლი 2. დაბა სტეფანწმინდაში წარმოდგენილ არეალში დაშვებული 2(ორი) სართულის ნაცვლად სასტუმროების სარეზერვო არეალში დაშვებული იქნას 4(ოთხი) სართული და მანსარდა, ხოლო საცხოვრებელ სარეზერვო არეალში 3(სამი)სართული და მანსარდა;

მუხლი 3. დაევალოს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკს“ დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის შემუშავება ამ განკარგულების პირველი და მე-2 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 4 .განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მის: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.N17 გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში;

დავითი ქირიკაშვილი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი